

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ჯი სისტემს“

ს.კ.: 402096913

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2021

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი სისტემს“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7-17
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	11
5. ამონაგები	12
6. სხვა შემოსავლები	12
7. სხვა ხარჯები	12
8. ფინანსური ხარჯები	13
9. ძირითადი საშუალებები	14
10. არამატერიალური აქტივები	15
11. მარაგები	15
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	16
14. ს აწესდებო კაპიტალი	16
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
16. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16
17. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	9	1 616 314	1 174 405
არამატერიალური აქტივების ნარჩენი	10	3 253	2 548
ფინანსური იჯარით (ლიზინგით) შეძენილი ძირითადი საშუალებები	9		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		1 619 567	1 176 953
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	1 210 604	367 317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	329 064	202 328
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	4 086	1 112
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		1 543 753	570 757
სულ აქტივები		3 163 321	1 747 709
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	778 487	685 463
საგადასახადო ვალდებულებები		121 375	149 960
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		52 743	9 370
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		952 605	844 793
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა (ლიზინგით)	16	726 094	631 555
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		726 094	631 555
მთლიანი ვალდებულებები		1 678 699	1 476 348
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	1 297 657	3 694
რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება		186 965	267 667
დაუფარავი ზარალი			
მთლიანი კაპიტალი		1 484 622	271 361
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		3 163 321	1 747 709

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
 დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯი სისტემს" ს.კ.: 402096913

მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	2 299 394	4 363 611
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		333 038	1 282 414
საწყისი ნაშტი		367 317	-
შემენილი წედლეული და მასალები		1 176 325	1 649 731
საბოლოო ნაშტი		1 210 604	367 317
საოპერაციო მოგება		1 966 356	3 081 197
სხვა შემოსავლები	6	7 954	93 597
სამუშაოს წარმოების ხარჯები		(677 418)	(1 158 546)
ცვეთა და ამორტიზაცია		(33 229)	(14 140)
შრომის ანაზღაურება		(1 062 307)	(1 313 293)
ადმინისტრაციული ხარჯები		(20 643)	(32 163)
სხვა ხარჯი	7	(255 555)	(239 526)
ფინანსური ხარჯები	8	(5 859)	(14 474)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		(80 701)	402 652
მოგების გადასახადი		-	(20 248)
საანგარიშო პერიოდი წმინდა მოგება- ზარალი		(80 701)	382 404

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

ა. გვაზავა



2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯი სისტემს" ს.კ.: 402096913

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
01.01.2019	-		-		-
გაცემული დივიდენდი		(114 738)			(114 738)
მოგება წლის განმავლობაში			382 404		382 404
საწესდებო კაპიტალი	3 694				3 694
01.01.2020	3 694	(114 738)	382 404	-	271 360
გაცემული დივიდენდი			-		-
მოგება წლის განმავლობაში			(80 701)		(80 701)
საწესდებო კაპიტალი	1 293 963				1 293 963
31.12.2020	1 297 657	(114 738)	301 703	-	1 484 622

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

ა. გვაზავა



2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მანანა დეკანაძე
ბუღალტერი


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31,12,2020	31,12,2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2 605 487	5 515 877
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2 268 811)	(3 484 328)
საპენსიო ფონდი	(33 920)	(14 748)
საბანკო ხარჯი	(2 543)	(3 838)
ხაზინა	(470 539)	(659 190)
გადახდილი დივიდენდები	-	(109 000)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული - ხელფასი	(794 734)	(1 064 014)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(965 060)	180 759
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(325 481)	(182 301)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
სესხის გაცემა	(230 000)	
სესხის ძირის დაბრუნება	230 000	
მიღებული პროცენტი	593	222
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა წმი	(324 888)	(182 079)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	530	184 650
გადახდილი სესხები	(530)	(171 118)
კაპიტალის შევსება	1 504 963	508 837
კაპიტალის შემცირება	(211 000)	(505 144)
გადახდილი პროცენტები	(3)	(3 588)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3 845	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(4 883)	(11 205)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფული	1 292 922	2 432
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	2 974	1 112
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1 112	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4 086	1 112

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი სისტემს“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 10 აგვისტოს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას 1 ჩიხი, #5, ქ. თბილისი დიდუბის მასივი. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 402096913.

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - ლევან ნადირაძე (პ/ნ 01024036665) 100 %-ის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.


ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი



2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაქირავებული პირისთვის (რომელიმე დაკავშირებული მხარესათვის) უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა
საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 საქონლის რეალიზაციიდან	96 808	1 366 192
2 მომსახურების გაწევიდან	2 202 586	2 997 419
ჯამი	2 299 394	4 363 611

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 მიწის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	-
2 ბანკიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	467	221
3 ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოს	-	72 320
4 კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	7 487	21 055
ჯამი	7 954	93 597

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 საკანცელარიო ხარჯი	6 112	7 339
2 ავტომობილის საექსპლუატაციო ხარჯი	-	15 485
3 კომპიუტერის ხარჯები	3 178	1 299
4 საკონსულტაციო ხარჯები	24 996	25 325
5 ქონების გადასახადის ხარჯი (მათ შორის მიწა)	1 252	847
6 საბანკო მომსახურების ხარჯი	2 543	3 850
7 იჯარა	154 915	93 197
8 უარყოფითი კურსთაშორის სხვაობა	15 485	11 936
9 კომუნალური ხარჯები	24 026	4 502
10 საბუღალტრო მომსახურების ხარჯები	20	11 705
11 სხვადასხვა წრვილმანი ხარჯი	2 925	36 142
12 სოციალური ხარჯები (საპენსიო)	20 103	27 899
ჯამი	255 555	239 526

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები			
დასახელება		31.12.2020	31.12.2019
ა)	რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
	* საპროცენტო ხარჯები	5 859	14 474
	* ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
ბ)	ზარალი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
გ)	ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები%+საკომისიო		
დ)	საპროცენტო ხარჯები ფინანსური ვალდებულებიდან, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით		
	მ.შ. უცხოური ვალუტაში აღებული სესხების საპროცენტო დანახარჯების მაკორექტირებელი საკურსო სხვაობა		
	ჯამი	5 859	14 474
	მოგების გადასახადი	-	20 248
	განაწილებული მოგება	-	114 737

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
 დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
 ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება შემენის ღირებულება	ნაშთი 31,12,2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31,12,2019
1 მიწის ნაკვეთები	-	-	-	-
2 დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-	-
2 შენობები	-	-	-	-
3 ნაგებობები	73 154	-	-	73 154
4 მანქანა დანადგარები	757	564	-	193
5 ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	255 548	3 911	-	251 637
6 ოფისის აღჭურვილობა	122 618	29 849	-	92 769
6 ავეჯი და სხვა ინვენტარი	29 665	15 332	-	14 333
8 სატრანსპორტო საშუალებები	1 181 941	425 483	-	756 458
ჯამი	1 663 683	475 138	-	1 188 545

ცვეთა	31,12,2020	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31,12,2019
1 მიწის ნაკვეთი	-	-	-	-
2 შენობის ცვეთა	-	-	-	-
3 ნაგებობების ცვეთა	693	-	356	337
4 მანქანა დანადგარების ცვეთა	9	-	8	1
5 ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები სვეთა	8 990	-	4 579	4 411
6 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	3 350	-	2 327	1 023
7 ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	996	-	717	279
8 სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	33 331	-	25 242	8 089
ჯამი	47 369	-	33 229	14 140
საბალანსო ღირებულება	1 616 314			1 174 405

ფინანსური იჯარა (ლიზინგი)	31,12,2020	31,12,2019
1 ფინანსური იჯარით (ლიზინგი) შეძენილი ძირითადი საშუალებები	1 373 648	986 520

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

- (ა) მისი წასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) წებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება,

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
 დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
 ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული 1 უზრუნველყოფა)	3 302	754		2 548
	-			
ჯამი	3 302	754	-	2 548
ცვეთა	31.12.2020	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31.12.2019
არამატერიალური აქტივები (პროგრამული 1 უზრუნველყოფა)	49		49	-
	-			
ჯამი	49	-	49	-
საბალანსო ღირებულება	3 253			2 548

შენიშვნა 11. მარაგები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 საქონელი	-	-
2 ნედლეული და მასალები	1 210 604	367 317
3 დაუმთავრებელი წარმოება	-	-
4 მზა პროდუქცია	-	-
5 სხვა სასაქონლო მარაგები	-	-
ჯამი	1 210 604	367 317
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	332 970	1 210 767

2020 წელს კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო დიდი პერიოდი მოგვიწია სამუშაოების შეფერხებით შესრულება, ამავე დროს გეგმის მიხედვით მივიღეთ სასაქონლო მარაგები, რის გამოც მოხდა მარაგების ნაშთის ზრდა წლის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
 დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
 ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	161 657	16 226
2 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	167 407	186 102
ჯამი	329 064	202 328

შენიშვნა 13. ფულადი სახსრები დაფულადი სახსრების ექვივალენტები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 985	905
2 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 099	207
3 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2	-
ჯამი	4 086	1 112

შენიშვნა 14. საწესდებო კაპიტალი

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 საწესდებო კაპიტალი	1 297 657	3694
ჯამი	1 297 657	3694

შენიშვნა 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 მომწოდებლების მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებები	351 030	254 435
2 მიღებული ავანსები	427 457	431 028
3 გადასახდელი ხელფასები	52 743	9 370
4 საგადასახადო ვალდებულებები	121 375	149 960
ჯამი	952 605	844 793

შენიშვნა 16. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
1 გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	726 094	631 555
ჯამი	726 094	631 555

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
 დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
 ბუღალტერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 17. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ. აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა კომპანიას ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვს ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააქვთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებს განიხილავს;

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებას

	31.12.2020	31.12.2019
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	85 803	119 753
ჯამი	85 803	119 753

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა დირექტორმა 2021 წლის 28 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

თორნიკე გვაზავა
დირექტორი

2021 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მანანა დეკანაძე
ბუღალტერი